



eAuction - ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს უნივერსალური პორტალი, რომელიც 2010 წლიდან მომხმარებელს სთავაზობს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების შეძენისა და გაყიდვის ყველაზე მოხერხებულ სისტემას, რომელიც ამიერკავკასიაში ინოვაციური პროექტია.

სისტემა წარმოადგენს საჯარო აუქციონების ალტერნატივას, რომელსაც მოსახლეობამ სწრაფად აულო ალლო. 2011 წლიდან პორტალს შეუერთდა ყველა სახელმწიფო უწყება. მომსახურების სააგენტო ვებ-გვერდის - www.eauction.ge საშუალებით განკარგავს დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებას.

3 წლის განმავლობაში საიტზე ვიზიტორთა რიცხვი დღეში საშუალოდ 8000-მდე გაიზარდა. www.eauction.ge-ზე სასურველი ნივთის შეძენა შეუძლიათ როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. დღეისათვის საიტზე დარეგისტრირებულია 37 814 მომხმარებელი, აქედან 34 872 ფიზიკური პირია, ხოლო 2 942 - იურიდიული. 2010 – 2013 (I-II კვარტალი) წლებში გაყიდული ლოტების რაოდენობამ შეადგინა 33 406 ერთეული, ხოლო მთლიანმა ბრუნვამ - 518 332 961 მლნ. ლარი.

სისტემის უპირატესობებია:

- უსაფრთხო და საიმედო პარტნიორობა;
- ონლაინ-აუქციონში მონაწილეობის მიღება ოფისიდან ან სახლიდან გაუსვლელად;
- ბიუროკრატიული პროცედურების არარსებობა;
- ფასდაკლების მოქნილი სისტემა;
- ორენოვანი ინტერფეისი (ქართული და ინგლისური);
- სასურველი ნივთის ელ. განვადებით შეძენის შესაძლებლობა;
- უფასო პლასტიკური ბარათი;
- უსაფრთხო გადახდის სისტემა (ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება, ელექტრონული საბანკო გარანტია, ინტერნეტ ბანკი, Emoney);
- ცხელი ხაზისა და სოციალური ქსელების მხარდაჭერა;
- მომსახურების ცენტრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

პორტალის პოპულარობის და მოხმარების სიმარტივის მაჩვენებელი პარტნიორების რაოდენობის სტაბილური ზრდის გარანტიაა.

სისტემა შექმნილია ფინანსთა სამინისტროს სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით. მომსახურების სააგენტო პორტალს უწყვეტად ადმინისტრირებს.